

UDC 001.4

SCOPUS CODE 1203

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-20-27>

ახალი ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის სარედაქციო საკითხისათვის

ლიანა სუთიძე სამშენებლო მანქანების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ
E-mail: l.sutidze@gtu.ge

რეცენზენტები:

ლ. ქაროსანიძე, თსუ-ის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი
E-mail: l.karosanidze@gmail.com

მ. ოსაძე, თსუ-ის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
E-mail: marineosadze@mail.ru

ანოტაცია. ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ნაწილები) კარგა ხანია მოძველდა და ვეღარ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. ის საჭიროებს არა მარტო განახლებას, არამედ სტრუქტურულ ცვლილებასაც.

უახლესი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების მზარდი ტექნიკური პროგრესი მოითხოვს, ზოგადად, სამეცნიერო ტერმინოლოგიის და, კონკრეტულად, ტექნიკური ტერმინოლოგიის განახლებას.

უცხო ტერმინების დამკვიდრება შესაძლებელია არა მარტო ზეპირ მეტყველებაში, არამედ სამეცნიერო ლიტერატურაშიც. განსაკუთრებით სცოდავს სარეკ-

ლამო სამსახური. მაგალითად, გვთავაზობენ რულოვოს აღდგენას, გროხოტის გამძლე ბადეებს დრაბილკებისათვის, რაზვალის აღდგენას და სხვა. ამას ხელს უწყობს თავად არსებული ტერმინოლოგიაც, რადგანაც უამრავი უთარგმნელი ტერმინი გვხვდება მასში. მაგალითად: ბრემსბერგი, ვერპი, ვერსორი, ლაფეტი, პეტარდა, რუმბატრონი და სხვა. რა თქმა უნდა, ყველა მათგანის გაქართულება შეუძლებელია და ახალ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში ისინი შესაძლოა უცვლელად შევიდეს. მით უმეტეს, როცა სრულიად ახალი ტექნიკური ტერმინები ნიაღვარივით შემოედინება ქართულ ენაში.

თუ გვინდა, რომ ტერმინი და მისი ფუნქცია გასაგები იყოს ყველასათვის და მოსახმარისი (დავესეს-

ხებით ამ გამონათქვამს სულხან-საბას), მაშინ ახალი ტექნიკური ტერმინოლოგია უნდა აიგოს განმარტებითი ლექსიკონის სახით, ყოველგვარი, ე.წ. ბუდეების გარეშე, რაც თავიდან აგვაცილებს სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირებული ტერმინების მოხვედრას ტექნიკურ ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში.

გთავაზობთ რამდენიმე ხარვეზს არსებულ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, რომელთა გამოსწორებაც აუცილებელია სარედაქციო სამუშაოების მიმდინარეობისას. მრავალი ტერმინი დასახვეწია, მაგალითად, იგრიხებადი (გრეხადი); იწვებადი (წვადი); მხუთრიანი (მხუთავი); მეზარდი (მზარდი) და სხვა.

სინონიმურ ტერმინებს უნდა მოსცილდეს არაქართული წარმოშობის შესატყვისები. ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში გვხვდება: შკაფი – კარადა; შოფერი – მძლოლი; შოფერი – მექანიკოსი; სკრაიბერი – საკაწრელი და სხვა.

გასამიჯნავია, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, ხილული და უხილავი ტერმინები: ღერძი (როგორც მანქანის ნაწილია, ასევე სიმეტრიისა, კოორდინატა...); თვალი (ამძრავის გადაცემაში და სავალ ნაწილში); არხი (სამელიორაციო და სატელევიზიო...) და სხვა. ლექსიკონიდან ამოსადებია უკვე მოძველებული, ხმარებიდან გამოსული ტერმინები. მაგალითად: бензоаправочная колонка – ბენზინის ჩასასხმელი სვეტი // ბენზინის ჩასასხმელი; უნდა იყოს ბენზინ-გასამართი.

საკვანძო სიტყვები: ლექსიკონი; უცხო ტერმინები; ტექნიკური ტერმინოლოგია; ტერმინოლოგია.

შესავალი

უახლესი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების მზარდი ტექნიკური პროგრესი მოითხოვს, ზოგადად სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და კონკრეტულად ტექნიკური ტერმინოლოგიის განახლებას.

ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული კერძოდ) რომ კარგა ხანია მოძველდა და ვეღარ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, არახალია. მასში მრავლადაა: მოძველებული ტერმინები, ე.წ. კურიოზული ტერმინები, უთარგმნელი უცხო ტერმინები; რამდენიმე ტერმინი მოცემულია ქართულ-უცხოური სახით; ბუდეებში გვხვდება სხვადასხვა მნიშვნელობის ერთი და იგივე ტერმინი და სხვა. აქედან გამომდინარე, ტექნიკური ტერმინოლოგია მოითხოვს ძალზე მნიშვნელოვან გადახალისებას და კარგად მოფიქრებულ სტრუქტურულ აგებას. ტერმინის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლე და ამომწურავი, რათა მკითხველს არ გაუჩნდეს სხვა წყაროების მოძიების საჭიროება. ამასთანავე, არაერთ ტერმინს საერთოდ გავრცელებულ მნიშვნელობასთან ერთად აქვს ვიწრო სპეციალური მნიშვნელობა, რაც მოითხოვს ენათმეცნიერებისა და სხვადასხვა ტექნიკური დარგის სპეციალისტებს შორის მეტ კავშირსა და შეთანხმებას, რათა არ მოხვდეს არასწორად ნათარგმნ-განმარტებული ტერმინი ახალ ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში.

ძირითადი ნაწილი

ძალზე რთულია უცხოური ტერმინების მოზღვაგებასთან ბრძოლა. მზარდი სისწრაფით შემოვიდა

და დამკვიდრდა უამრავი უცხო ტერმინი, მიუხედავად იმისა, გვაქვს თუ არა მათი შესატყვისი ქართული ტერმინი. მაგალითად, *თინეიჯერი*, *სილაბუსი*, *პორტფოლიო*, *კურსკულუმი*, *ინსტალაცია*, *ლოკაცია* და სხვა. თუმცა, ამის საპირისპიროდ ვერ გახდა გამოყენებადი ისეთი ქართული ტერმინები, როგორებიცაა *პოჭოჭიკი*, *სიზრქე*, *მეზარდი*, *ლილვობი* და სხვა.

უცხო და კალკირებული ფორმების დამკვიდრება შესამჩნევია არა მარტო ზეპირ მეტყველებაში, არამედ სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაშიც, რასაც ნაწილობრივ ხელს უწყობს თავად არსებული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რომელშიც „უწყინარად თანაარსებობს“ ქართულ-რუსული წყვილი: *შკაფი – კარადა*; *შოფერი – მძღოლი*; *საკაწრელი – სკრაიბერი* (სკრაიბერი ქართულად საფხეკს ან სახვეტს ნიშნავს, ხოლო *საკაწრელი* არის *царапка*, ე.ი. აქაც უზუსტობაა. ასევე, ლექსიკონში მრავლადაა უთარგმნელი ტერმინები, რომელთა დანიშნულება, სპეციალისტების გარდა, გაუგებარია ჩვეულებრივი მკითხველისთვის, მაგალითად, *ბრემსბერგი*; *ვერაპი*; *ვერსორი*; *პეტარდა*; *რუმბატრონი* და სხვა.

ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის კიდევ რამდენიმე ხარვეზზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელთა გამოსწორებაც აუცილებელი იქნება ახალი ტერმინოლოგიის სარედაქციო სამუშაოების მიმდინარეობისას.

Бензозаправочный – **ბენზინის ჩასასხმელი**; უ.ი. **ბენზინგასამართი**;

Бензозаправочная колонка – **ბენზინის ჩასასხმელი სვეტი**; უ.ი. **ბენზინგასამართი სვეტი**;

колонка бензораздаточная – **ბენზინსარიგებელი სვეტი**; უ.ი. **ბენზინსარიგებელი**;

колонка маслораздаточная – **ზეთსარიგებელი სვეტი**; უ.ი. **ზეთსარიგებელი**.

ტერმინი *სვეტი* არის რუსული колонка-ს კალკირებული ფორმა, რომელიც მისი ქართული ფუნქციური შინაარსიდან გამომდინარე, ვერ ესადაგება ზემოთ აღნიშნულ ტერმინებს. უფრო მეტად გაუგებარია ტერმინი колонка бензиновая – *ბენზინის სვეტი* და колонка радиатора – რადიატორის სვეტი. ხომ შეიძლება ვიხმართ მხოლოდ ტერმინები – *ბენზინგასამართი*; *ბენზინსარიგებელი*; *ზეთსარიგებელი* ყოველგვარი „სვეტის“ გარეშე.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომპოზიტების ნაწილში შენარჩუნებულია ნართანიანი მაწარმოებელი, ნაწილში – არა. მაგალითად, *კომბინთმშენებელი*, *ტერმინთმშემოქმედება*, *კომპლექსთწარმოქმნა* და სხვა. მაგრამ გვაქვს: *ელმავალმშენებელი*, *ვაგონშემკეთებელი*, *ჩარხმშენებელი* და სხვა. ვფიქრობ, თ-ს ფუნქცია დაზუსტებასა და შემდგომ კვლევას მოითხოვს, რადგან არ ჩანს ერთგვაროვანი დამოკიდებულება ასეთი კომპოზიტების დაწერილობის მიმართ.

არსებულ ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში მრავლადაა წარმოდგენილი ტერმინები თანმხლები ე.წ. ბუდეებით. ძირითადი ტერმინის „გაშლა“ ბუდეებში არ ითვალისწინებს ამ ტერმინის ფუნქციურ მნიშვნელობას და ერთ ბუდეში მათი მოხვედრა გარკვეულ გაუგებრობას იწვევს. მაგალითად, *არხი* – წყალსარინი; სარწყავი; სატელევიზიო; საკომუნიკაციო; *ბლოკი* – აკუმულატორის; ბეტონის; მოლეკულური; ცილინდრების; *ღერძი* – სავალი თვლები; დედამიწის; დაკიდების; კოორდი-

ნატა სისტემის... **თვალი** – სავალი; საჭის; კბილე-
ბიანი; ამოსახაპი... **რეაქცია** – საყრდენის; ადამიანის;
ქიმიური... **პროფილი** – ხედი გვერდიდან; საგნის,
გზის, უბნის ვერტიკალური ჭრილი; ნაგლისის გა-
ნივი ჭრილის ფორმა; პროფესიული საქმიანობის
მიმართულება... ამდენად, საინტერესოა, როგორ გა-
დაწყდება ბუდეების საკითხი ახალ ტექნიკური
ტერმინოლოგიის ლექსიკონში.

საჭიროა ვიფიქროთ ზოგიერთი ტერმინის შეკ-
ვევის მიზანშეწონილობაზე. მაგალითად, მიმაჩნია,
რომ ტერმინი **ღმერთი** არ უნდა შევკვეცოთ. ხომ ვამ-
ბობთ ღმერთისა და ხალხის წინაშე და არა ღმრთი-
სა... ასევე: **მკვლევარი** - **მკვლევარის** და არა **მკვლევ-
რის** (**მკვლევრების**); **ღუმელი** - **ღუმელის** და არა
ღუმლის და სხვა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩემი
მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობიდან გა-
მომდინარე, ენათმეცნიერების ინსტიტუტს ვთავა-
ზობ სამეცნიერო საბჭოზე განსახილველად რამდე-
ნიმე მოსაზრებას, რაც გასათვალისწინებელი იქნება
ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალ ლექსიკონზე სა-
რედაქციო მუშაობისას

1. ტექნიკური ტერმინოლოგია, რუსულ-ქართუ-
ლი ნაწილი, გვ. 165. **колесо** – **თვალი** და შემდეგ
იწყება ბუდე, რომელშიც ადამიანის თვალის გარდა
მოცემულია ყველა სახის თვალი, მათ შორის:

к. зубчатое – კბილა თვალი, კბილანა;

к. зубчатое винтовое – ხრახნული კბილა თვალი;

к. зубчатое конусное – კონუსური კბილა თვალი;

к. зубчатое премозубное – სწორკბილა კბილა
თვალი;

და აქვე: **колесо червячное** – ჭიათვალი;

ამ ბუდეში რომ ტერმინები გასამიჯნია, ზემოთ
უკვე ვთქვით. რაც შეეხება **კბილა თვალს** და **კბილა-
ნას**, როგორც გეომეტრიული სხეულები, ისინი გა-
რეგნულად ჰგვანან ერთმანეთს და ორივე გამოი-
ყენება ბრუნვის სიჩქარეების შესაცვლელად. თუმცა
განსხვავება მათ ზომებსა და კონსტრუქციულ შეს-
რულებაშია, რაც განაპირობებს მათ განსხვავებულ
ფუნქციას გადაცემაში (ამძრავში): **კბილანა** არის
მცირე ზომის, მთლიანი (შეიძლება ლილვზეც იყოს
მოჭრილი), ბრუნავს სწრაფად და გადაცემაში წამყვან
როლს ასრულებს. **კბილა თვალი** – დიდი ზომისაა
კბილანასთან შედარებით და შეიძლება იყოს მთლი-
ანი ან შედგენილი კონსტრუქციის. ასრულებს მიმ-
ყოლის როლს და ამცირებს ბრუნვის სიჩქარეს. **კბი-
ლანას** რუსულად ჰქვია шестерня (зубчатка). რაც
შეეხება **კბილა თვალს**, ანალოგიურად **ჭიათვლისა**,
მას უნდა ვუწოდოთ „**კბილათვალი**“.

2. იმ ამძრავებში (გადაცემებში), სადაც დიდი
სიმძლავრეებია გადასაცემი, „კბილათვალი“ შეიძ-
ლება ასაძრავ ნაწილზე იყოს გარსშემოცმული ე.წ.
გვირგვინის სახით, მაგალითად, ჯალამბრის დოლ-
ზე, საფეკავი წისქვილის დოლზე, მბრუნავ ღუმელ-
ზე და სხვა. ამ შემთხვევაში მას შეიძლება ვუწოდოთ
„**კბილაგვირგვინი**“ (зубчатый венец).

3. ტერმინი „**თვალი**“ (**колесо**) გავმიჯნოთ შემ-
დეგნაირად:

თვალი¹ – **კბილთვალი** (зубчатое колесо), რო-
გორც ამძრავის კბილანური გადაცემის ელემენტი;

თვალი² – **სავალი თვალი** (**ходовое колесо**), მან-
ქანების სავალი ნაწილის ელემენტი;

თვალი³ – სხვადასხვა დანიშნულების (ფრიქ-
ციული; საჭის; ამოსახაპი; ხრუტუნა და სხვ.).

4. ტექნიკურ ტერმინოლოგიაში არ არის ტერმინი „запасовка канатов“. ტექნიკურ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი მას „ბაგირების დამარაგებას“ უწოდებს, რაც აშკარად კალკირებული ფორმაა და ვერ ასახავს ბაგირების გადახვევის სქემას. მე გთავაზობთ: *запасовка канатов – ბაგირგადახვევა*.

5. შესაცვლელია: домкрат – დომკრატი (გვ. 106, იქვე). უმჯობესია: домкрат –საწევარი.

6. გთავაზობთ რამდენიმე ტერმინის გაუმჯობესებულ ვარიანტს:

იგრიხებადი – გრეხადი;

იწვებადი – წვადი;

მხუთრიანი – მხუთავი;

მრავალი ტერმინის ჩემეული ხედვა ასახულია ტექნიკური ტერმინოლოგიის ქართულ-რუსული ნაწილის გვერდებზე, რომელიც გადავეცი ტერმინოლოგიის განყოფილებას.

7. სამედიცინო ტერმინს „გულის წასვლა“ (საოჯახო მედიცინიდან) ვუწოდოთ *„გულწასვლა“*, ანალოგიურად ტერმინისა *„გულყრა“*.

დასკვნა

თუ გვინდა, რომ ტერმინი და მისი ფუნქცია იყოს გასაგები და მოსახმარისი (თუ დავესხებით ამ გამონათქვამს სულხან-საბას), მაშინ ახალი ტექნიკური ტერმინოლოგია უნდა აიგოს განმარტებითი ლექსიკონის სახით, ყოველგვარი ე.წ. ბუდეების გარეშე, რაც თავიდან აგვაცილებს სხვადასხვაგვარად გაგებული ტერმინების მოხვედრას ტექნიკურ ლიტერატურაში, სახელმძღვანელოებსა და დარგობრივ ლექსიკონებში.

ლიტერატურა

1. Technical terminology (Georgian-Russian part), Publishing House ‘Metsniereba’, Tbilisi, 1982, 568 p.
2. Technical terminology (Russian-Georgian part), Publishing House ‘Metsniereba’, Tbilisi, 1989, 521 p.

UDC 001.4

SCOPUS CODE 1203

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-20-27>

To the Issue of Editing the New Technical Terminology

Liana Sutidze

Department of Building Machines, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^b M. Kostava str. E-mail: l.sutidze@gtu.ge

Reviewers:

L. Karosanidze, Head of the Department, Scientific Terminology and Translation Dictionaries of the Institute of Linguistics named after Arn. Chikobava, TSU

E-mail: L.Karosanidze@gmail.com

M. Osadze, Researcher, Head of the Department, Scientific Terminology and Translation Dictionaries of the Institute of Linguistics named after Arn. Chikobava, TSU

E-mail: marineosadze@mail.ru

Abstract. Georgian technical terminology (Georgian-Russian and Russian-Georgian parts of it) became obsolete long ago and cannot correspond to the modern demands. This terminology needs not only to renew but change structurally.

The growing progress of modern communication and information technologies demands updating of the scientific terminology in general and of the technical terminology particularly.

It is obvious that foreign terms took their place not only in speech but in the scientific literature as well. The examples of terminology using which we meet in our everyday life, especially when reading or listening to the ads, are absolutely unacceptable. For example, the ads propose us to restore so called rulevoi – from the Russian руль (steering wheel); they also suggest the grids against grokhot – that is rpoxor in Russian (clatter) and so on; as usual, technical terms in ads are always given in Russian, sometimes in some other languages, but almost nobody uses Georgian technical terms. Unfortunately, sometimes already existed terminology also favors using untranslated terms such as: bremsbergi (bremsberg – cross entry); versori (versor- a unit length), lafeti (lafet – gun carriage) and many others. True, it is impossible to translate all of the foreign terms always and only in Georgian. Some of such terms may be included in the new technical terminology unchanged, without translation. It is especially conditioned by the fact that nowadays a huge stream of the foreign terms floods the Georgian language.

If we want the term and its function be easy to understand and use, then the new technical terminology should be arranged in the form of the explanatory dictionary without so called headwords; this will enable us to avoid diverse interpretations of the terms in the technical literature and manuals.

We suggest here some faults found in the existed terminology which are absolutely necessary to improve during editorial work.

Many terms need to refine: not იგრიხეზადი (crooking) but გრეზადი (crookable); იწვეზადი – წვადი (burning – burnable) and some others.

Synonymic terms should be used without non-Georgian corresponding words: for example, we meet in the technical terminological dictionaries such pairs as: შკაფი — კარადა (a wardrobe – in Russian and in Georgian); შოფერი — მძღოლი (a driver); შოფერი — მექანიკოსი (driver-mechanic); სკრაიბერი — საკაწრელი (scribe).

Besides that, some terms which denote the notions which we classify as visible and invisible should merge, e.g. ღერძი (axis) - Axis can be a part of a car, an eye, also axis of symmetry, of coordinates and so on; also არხი (channel) – it can be in melioration, in television and so on.

Some obsolete terms should be extracted from terminological dictionaries, such as: бензозаправочная колонка (Rus.) - ბენზინის ჩასასხმელი სვეტი // ბენზინის ჩასასხმელი; there must be ბენზინგასამართი (Petrol station).

Key words: terminology; terminological dictionaries; technical terminology; translation.

UDC 001.4

SCOPUS CODE 1203

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-20-27>

К вопросу редактирования нового словаря технической терминологии

ლიანა სუტიძე

Департамент строительных машин, Грузинский технический университет,
Грузия, 0160, Тбилиси, М. Костава 68⁶
E-mail: l.sutidze@gtu.ge

Рецензенты:

Л. Каросанидзе, руководитель отдела научной терминологии и переводческих словарей Института языкознания им. Арн. Чикобава Тбилисского государственного университета

E-mail: L.Karosanidze@gmail.com

М. Осадзе, научный сотрудник, заведующий отделом научной терминологии и переводческих словарей Института языкознания им. Арн. Чикобава Тбилисского государственного университета

E-mail: marineosadze@mail.ru

Аннотация. Грузинская техническая терминология давно уже устарела и не отвечает современным требованиям. Она требует не только возобновления, но и структурного изменения.

Ускоренный технический прогресс новейших коммуникационных и информационных технологии требует обновления всей научной терминологии и, в частности, технической терминологии.

Иностранные термины широко внедряются не только в устной речи, но и в научной литературе. Особенно грешит рекламная служба, чему способствует сама существующая техническая терминология в которой встречаются очень многие непереуведенные термины, как например: бремсберг, верп, версор, лафет, петарда, румбортон и др. Разумеется, трудно разораться и добиться перевода всех новых терминов, найти соответствующие им новые.

Если хотим, чтобы термин и его функция были понятны всем, то новую техническую терминологию нужно построить в виде толкового словаря без всяких т.н. гнезд. Это даст возможность избежать попадание по разному интерпретированных терминов в технической литературе и учебниках.

В статье предлагается перечень некоторых терминов, подлежащих уточнению и размежеванию.

Ключевые слова: иностранные термины; словарь; техническая терминология; терминология.

განხილვის თარიღი 16.09.2020

შემოსვლის თარიღი 28.09.2020

ბელმოწერილია დასაბეჭდად 29.03.2021